

## ოქმი N11

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს სხდომის

2017 წელი, 18 მაისი  
ქ. ოზურგეთი, 15<sup>00</sup>სთ

**ესწრებოდნენ:**

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ნ. გოგუაძე,

კომისიების თავმჯდომარეები: ლ. ბიგვაძე, ლ. თოიძე, ი. საჯაია, ნ. ტაბატაძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: თ. ნადირიძე, თ. სალუქვაძე, კ. კვაჭაძე,  
ნ. ორაგველიძე.

არ ესწრებოდნენ: მ. მახაროზიძე.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ნ. გოგუაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

### დღის წესრიგი

1. ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ წინადადების განხილვის თაობაზე.

**მომხსენებელი:** ნინო გოგუაძე

**მომხსენებელმა ნ. გოგუაძემ** განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

**აზრი გამოთქვას:** თ. ნადირიძე - ხვალ უფრო მომზადებული ვიქნებით, მაგრამ მე არ ვეთანხმები ამ წინადადებას.

თ. სალუქვაძე - მე პირველი საკრებულოს თავმჯდომარე ვიყავი. საქართველომ ეძია, მაგრამ მაინც ვერ მიაგნო მის სპეციფიკურ მოდელს. ძალიან მრავალფეროვანია ჩვენი ქვეყანა და ის დღესაც შესაფერისი მოდელის ძიებაშია - მე ასე ვფიქრობ. ხუთად რომ დაშლილიყო ჩვენი რაიონი, თავს ვერ მოუყრიდა ვერავინ. ძალიან ცუდია მეორე მუნიციპალიტეტის გამგებლის გამოსვლა, უზუსტო და შეურაცმყოფელი. მიერთება არ ხდება, აქ ლაპარაკია ორი ტოლფასი მუნიციპალიტეტის

ბაზაზე ერთი მუნიციპალიტეტის, სრულიად ახალი მოწყობის შექმნაზე . მოდელი სრულიად იცვლება, დეპუტატებმა პოპულიზმს თავი უნდა დავანებოთ და რაციონალურად ვიფიქროთ. მე ყველაფერ სიახლეს ვუჭერ მხარს. დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრაა საჭირო. ამ საკითხზე იმუშავებდნენ ექსპერტები.

**თ.ტრაპაიძე** - ეს ექსპერტები მუშაობდნენ 2006 წელსაც.

**თ.სალუქვაძე**-რეალური სიძლიერე დაკავშირებულია ფინანსებზე. ჩვენ ამ საკითხს შევხედოთ სახელმწიფოს გადმოსახედიდან და არა მხოლოდ ოზურგეთის გადმოსახედიდან. ყველა რაიონმა უნდა დააყენოს საკითხი, ვერ შეზღუდავ ვერავის. ამიტომ სახელმწიფომ გადაწყვიტა შემოიტანოს ერთიანი ახალი ადმინისტრაციული მოდელი, რაც შეიძლება იყოს საფუძველი ახალი თვითმმართველობების შექმნის.

**თ.ნადირიძე**-საკრებულომ უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ საზოგადოება უნდა იყოს ჩართული თუ არა- ბატონო თამაზ?

**თ.ტრაპაიძე** - რათქმაუნდა. ამიტომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოთ. საარჩევნო პროგრამაში რომელიმე დეპუტატს ჰქონდა ჩადებული ქალაქის გაუქმება და მაჟორიტარებს ამით მისცა მანდატი ხალხმა?

**ლ.ბიგვაგა** - თუ ეს რეფორმა უნდა განხორციელდეს, ეფექტი რა თქმა უნდა იქნება, უამრავი პარალელური სტრუქტურაა, რომელიც ცუდად აწვება სახელმწიფოს.

**თ.სალუქვაძე** - არაჯანსაღი კონკურენციის ნიშნები არ გაჩნდა?

**თ.ტრაპაიძე** - თუ დაპირისპირება მთავრობაშია, არ ვიცი, მაგრამ ხალხში არ არის. იქნებ ხალხს შევეკითხოთ და სპონტანური გადაწყვეტილება არ მივიღოთ.

**ლ.თოიძე** - როცა იყოფოდა რა აზრის იყავი მაშინ?

**თ.ტრაპაიძე**-მე ვეთანხმებოდი და ამას თან ვასაბუთებდი. ამოსავალი წერტილი უნდა ვნახოთ თვითმმართველობის არსიდან. ვინ დაგვიშალა მოხდეს ოპტომიზაცია ერთი და იგივე სტრუქტურების?

**ლ.ბიგვაგა**-არავის არ დაუშლია, მაგრამ პარალელურ სტრუქტურებში 1700-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

**თ.ტრაპაიძე**-რატომ არის კარგი ცალ-ცალკე თვითმმართველობები -ქალაქ ოზურგეთი და თემები? რაც უფრო მეტია თვითმმართველობა, მით მეტია

სიკეთე ხალხისათვის. 2013 წელს რომ შევადაროთ ადგილობრივი შემოსავლები ქალაქში-გაიზარდა?

**ლ. ბიგვაგა** - გაიზარდა 73%-ით, მაგრამ თვისობრივი ზრდა არ მომხდარა. ეკონომიკური შემოსავლებიდან ზრდა არ მომხდარა.

**თ.ტრაპაძე**-მარტო მცხეთაში შემცირდა, სხვა ყველა ქალაქში გაიზარდა.

**ლ.თოიძე**-რაც უნდა მოინდომო ეკონომიკურ ზრდას ვერ შეაჩერებ.

**ლ. ბიგვაგა**-მე ვერ წარმომიდგენია ქალაქის განვითარება სოფლების განვითარების გარეშე.

**თ.სალუქვაძე** - თქვენ გაგიგიათ სადმე ძლიერი ქალაქი? ლამაზი ქალაქი გამიგია - მაგრამ ძლიერი არის სოფელი. მე იმიტომ ვუჭერ ამას მხარს, რომ ქალაქის ასახვა იქნება ძალიან სოლიდური. ორგანული კავშირია ქალაქსა და სოფელს შორის. თანხები არ მცირდება. ინფრასტრუქტურა გეუბნება, ვიყოთ ისეთი მობილურები, რომ თქვენი რაიონი დავაყენოთ ფეხზე.

**ნ.გოგუაძე** - მე. როგორც საკრებულოს რიგით წევრს, მიმაჩნია, რომ მეტი თვითმმართველობა ქვეყნის განვითარების ერთადერთი პირობაა, ხოლო მეტი მუნიციპალიტეტი მეტ თვითმმართველობას ნიშნავს. ქალაქმა მიაღწია განვითარებას, მას არ ამოუწუარია თავისი თავი. მე, როგორც ენვერ გოგუაძის შვილი აღვნიშნავ, რომ ოზურგეთი ყოველთვის იყო გურიის სატახტო დედაქალაქი, ეს ქალაქი არც ერთ ქალაქზე ნაკლები ისტორიული წარსულისაა. ქალაქი გავს ქალაქს, თუმცა რა თქმა უნდა იგი კვლავ უნდა განვითარდეს. მე არ ვეთანხმები ქალაქის იმ საზღვრებში დაბრუნებას, რომელიც იყო 2012 წელს.

**ი.პაპავა** - წერილში წერია, რომ ქალაქის და თემების თვითმმართველობის არსებობამ არ გაამართლაო. ჩემის აზრით ალოგიკური იქნება ის, რომ ჩემ მიერ არჩეულ დეპუტატთან მომიწევს იმის მტკიცება, რომ ქალაქის სტატუსი შეუნარჩუნდეს ქ. ოზურგეთს.

**ბ.მელუა**-განხილვები ბოლომდე არ არის დასრულებული. არგუმენტები მოიკოჭლებს, დარწმუნებული ვარ საკრებულოს სხდომა ჩაივლის კითხვა-პასუხის რეჟიმში.

**ნ.გოგუაძე**-არა მგონია დეპუტატებმა აზრი შეიცვალოს, გინდ ხვალ, გინდ 10 დღის შემდეგ.

**თ.ტრაპაძე**-მე მაინტერესებს მოსახლეობის აზრის გათვალისწინება.

ნ.ორაგველიძე -ასეთ მდგომარეობაში ყოფნას სჯობს  
გაერთიანება.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილ იქნას საკრებულოს  
სხდომაზე.

დამტკიცდა 7 ხმით


წინააღმდეგი: ნ.გოგუაძე, თ.ნადირიძე

საკრებულოს სხდომა ჩატარდება 2017 წლის 19 მაისს 12 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბიუროს წევრებს და სხდომა  
დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა